

მძერწავი (არქიტექტურული დეტალების) 080655**პროფესიული სტანდარტი****I. სფეროს აღწერა**

მძერწავის პროფესია აუცილებელი რგოლია მხატვრულ-მოცულობითი, არქიტექტურული და დიზაინერული სამუშაოების შესრულების პროცესში. იგი მოიცავს: ძერწვის ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების სისტემურ ცოდნას (პლასტიკინი, თიხა, კერამიკული თიხა, შამუთი), არქიტექტურული ობიექტისათვის მარტივი და რთული გეომეტრიული ფორმების შესრულებას საქერწი მასალების გამოყენებით, დეკორატიული ესკიზის მიხედვით რელიეფის, ბარელიეფისა და ჰორელიეფის განხორციელებას, როგორც ნატურალურ, ასევე გადიდებულ ზომაში.

II. დასაქმების სფერო

მძერწავის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს: სამშენებლო კომპანიებში, არქიტექტურულ სახელოსნოებში, დიზაინის სტუდიებში, სარესტავრაციო და საიუველირო სახელოსნოებში, მუზეუმებში, გალერეებსა და სამხატვრო სალონებში.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მძერწავის პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანია — მე-3 საფეხური და მოიცავს მინიმუმ 25 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკულ სწავლებას. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება მძერწავის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

IV. დამატებითი მოთხოვნები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

V. მძერწავის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

მძერწავის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცნობს ძერწვის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესს, სამერწი მასალების (პლასტიკინი, თიხა, კერამიკული თიხა, შამუთი) თვისობრივ მახასიათებლებსა და მოხმარების წესებს. იცის ამოცანის შესაბამისად სამერწი იარაღებისა და მასალის სწორად შერჩევა. იცნობს არქიტექტურული ობიექტის ექსტერიერისა და ინტერიერისთვის ბიო და გეომეტრიული დეკორატიული პლასტიკური ფორმების ძერწვის ძირითად პრინციპებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია არქიტექტურული ობიექტისთვის რელიეფის, ბარელიეფისა და გორელიეფის გამოძერწვა, დეკორატიული ესკიზის განხორციელება ნატურალურ ზომაში ფარგლისა და წერტილების წესის გამოყენებით, ხოლო გადიდება უჯრედების საშუალებით. სწორად იყენებს მონო და პოლიმორფული დეკორატიული ფორმების სამერწ მასალას; მცირე და რთულ ფორმაქმედებებს ახორციელებს პლასტიკინში, ხოლო მარტივსა და მოცულობითს - კერამიკულ თიხაში. მოცულობითი ფორმის შესრულებისთვის ამზადებს და იყენებს კარკასს.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია: პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის მიღება და დამუშავება, მიღებული დავალების განხორციელებისას ტექნიკური სირთულის წამოჭრის შემთხვევაში მისთვის ცნობილი ინფორმაციის გამოყენებით პრობლემის მოკლე დროში ეფექტურად გადაჭრა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში ხელმძღვანელთან, დამკვეთთან, კოლეგებთან პროფესიულ საკითხებზე როგორც ზეპირი ასევე წერილობითი ურთიერთობა, თავისუფლად იყენებს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ურთი-ერთობებს ანხორციელებს როგორც მშობლიურ ასევე უცხო ენაზეც.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია მძერწავის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, აცნობიერებს სწავლის გაგრძელების აუცილებლობას პროფესიული სრულყოფის</p>

		თვალსაზრისით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	ხელმძღვანელთან, დამკვეთთან და კოლეგებთან ურთიერთობს ეთიკური ნორმების დაცვით, თავისი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია კოლეგებისთვის დახმარების გაწევა, არის პუნქტუალური და მოწესრიგებული. მოქმედებს ტექნიკური უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით.